

## მონათესავე ენების კანონზომიერი შესატყვისობები ლექსიკურ დონეზე

გარდა საერთო ინდოევროპული ლექსიკისა, როგორც უკვე აღინიშნა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ყველა შტოს აქვს თავისი საერთო ლექსიკა: საერთო გერმანიკული ლექსიკა, საერთო რომანული ლექსიკა, საერთო კელტური ლექსიკა, საერთო სლავური ლექსიკა, საერთო ბალტიკური ლექსიკა და სხვა. ეს სიტყვები შეიქმნა პროტოგერმანიკულ, ლათინურ (პროტორომანულ), პროტოკელტურ, პროტოსლავურ, პროტობალტიკურ და სხვა ენებში და მათი დიფერენციაციის შედეგად შევიდა ცალკეული ენების ლექსიკაში. საერთო გერმანიკული სიტყვები დასტურდება მხოლოდ გერმანიკულ ენებში, საერთო რომანული სიტყვები - მხოლოდ რომანულ ენებში, საერთო კელტური სიტყვები - მხოლოდ კელტურ ენებში და ა.შ.

### საერთო რომანული ლექსიკა Inherited Romance Lexicon

საერთო რომანული ლექსიკა (inherited Romance lexicon), როგორც აღინიშნა, შეიქმნა ლათინურ ენაში და ცალკეული რომანული ენების მისგან გამოყოფის შედეგად შევიდა აღნიშნული ენების ლექსიკონში. ამ ეტიმოლოგიური შრის სიტყვების საილუსტრაციოდ განვიხილოთ კვირის დღეების აღმნიშვნელი სიტყვები რომანულ ენებში. მაგ.:

ლათინურად **ორშაბათის** აღმნიშვნელი სიტყვაა *diēs Lunæ*, სიტყვასიტყვის 'მთვარის დღე'. აღნიშნული ლათინური სიტყვიდან განვითარდა ორშაბათის აღმნიშვნელი სიტყვები თანამედროვე რომანულ ენებში: ფრანგული *lundi*, იტალიური *lunedì*, ესპანური *lunes*.

**სამშაბათი** ლათინურად არის *diēs Martis*, სიტყვასიტყვით 'მარსის დღე'. მისგან განვითარდა სამშაბათის აღმნიშვნელი სიტყვები იტალიურში *martedì*, ფრანგულში *Mardi*, ესპანურში *Martes*.

ოთხშაბათი ლათინურად *diēs Mercurii*, სიტყვასიტყვით ‘მერკურის დღე’. ლათინურიდან ეს სიტყვა შემდეგი სახით შევიდა რომანულ ენებში: იტალიური *mercoledì*, ფრანგული *mercredi*, ესპანური *miércoles*.

ხუთშაბათის ლათინური სახელწოდებაა *diēs Jovis*, სიტყვასიტყვით ‘იუპიტერის დღე’. ხუთშაბათის აღმნიშვნელი სიტყვები: ფრანგულში *jeudi*, იტალიურში *giovedì*, ესპანურში *jueves*.

პარასკევის ლათინური სახელწოდებაა *diēs Veneris*, სიტყვასიტყვით ‘ვენერას დღე’. ფრანგულში *vendredi*, იტალიურში *venerdì*, ესპანურში *viernes*.

შაბათი ლათინურად არის *diēs Saturni*, სიტყვასიტყვით ‘სატურნის დღე’. თუმცა არის მეორე ფორმაც *diēs Sabbatī* ‘შაბათის დღე’ (ხალხური ლათინურის ფორმები: *sambatium*, *sambatī dies*), რომელიც დაკავშირებულია ებრაულ ‘შაბათთან’. სწორედ ამ სიტყვიდან განვითარდა შაბათის აღმნიშვნელი სიტყვები რომანულ ენებში: ფრანგული *samedi*, ესპანური *sábado*, იტალიური *sabato*.

კვირა ლათინურად არის *dies solis*, სიტყვასიტყვით ‘მზის დღე’. ლათინურში ასევე დასტურდება *diēs Dominicus* (ხალხური ლათინურის ფორმა *diominicu*, *didominicu*), რაც სიტყვასიტყვით ‘უფლის დღეს’ ნიშნავს. სწორედ ამ სახელიდან განვითარდა კვირის აღმნიშვნელი სიტყვები რომანულ ენებში: ფრანგული *dimanche*, ესპანური *domingo*, იტალიური *Domenica*.

## საერთო გერმანიკული ლექსიკა Inherited Germanic Lexicon

აღსანიშნავია, რომ კვირის დღეების ლათინური სახელწოდებებიდან კალკირების გზით შეიქმნა კვირის დღეების სახელები გერმანიკულ ენებში, სადაც ლათინური სიტყვები და რომაული მითოლოგიის ღმერთები ჩაანაცვლეს გერმანიკულმა სიტყვებმა და გერმანიკული მითოლოგიის ღმერთებმა.

**ორშაბათი** - ლათინური *diēs Lunæ*, გერმანიკულ ენებში გადაიქცა ძველ ინგლისურ სიტყვად *mōnandæg*, *mōndæg*, სიტყვასიტყვით 'მთვარის დღე, day of the moon' (შეადარეთ: ძვ. სკანდინავიური *manandagr*, ისლანდიური *mánudagur*, ძვ. ფრიზული *monendei*, ჰოლანდიური *maandag*, გერმანული *Montag*).

**სამშაბათის** აღმნიშვნელი ლათინური სიტყვის *diēs Martis* კალკირებით გერმანიკულ ენებში იქმნება შემდეგი სიტყვები: ძვ. ინგლისური *tiwesdaeg*, სიტყვასიტყვით 'ტიურის/ტიუს დღე'. ტიური, ტიუ გერმანიკულ მითოლოგიაში არის ომის ღმერთი. რომაული მითოლოგიის მარსი აქ გერმანიკული ღმერთითაა ჩანაცვლებული (შეადარეთ მონათესავე სიტყვები: ძვ. ფრიზული *tiesdei*, ძვ. სკანდინავიური *tysdagr*, შვედური *tisdag*, ძვ. ზემო-გერმანული *ziestag*, თანამედროვე გერმანული *Dienstag*).

**ოთხშაბათის** აღმნიშვნელი ლათინური სიტყვის *diēs Mercurii* კალკირებით გერმანიკულ ენებში იქმნება შემდეგი სიტყვები: ძვ. ინგლისური *wodnesdæg*, სიტყვასიტყვით 'ოდინის დღე'. რომაული მითოლოგიის მერკური აქ გერმანიკული ღმერთით - ოდინითაა ჩანაცვლებული (შეადარეთ მონათესავე სიტყვები: ძვ. ფრიზული *Wonsdei*, ძვ. სკანდინავიური *Odinsdagr*, შვედური *Onsdag*, ჰოლანდიური *Wudensdach*).

**ხუთშაბათის** ლათინური სახელწოდების *diēs Jovis* იუპიტერი, გერმანიკულ ენებში ჩანაცვლებულია გერმანიკული ღმერთით თორი: ძვ. ინგლისური *þunresdæg* (სიტყვასიტყვით 'თორის დღე'), ძვ. ფრიზული *thunresdei*, ჰოლანდიური *donderdag*, ძვ. ზემო-გერმანული *Donares tag*, გერმანული *Donnerstag*, დანიური და შვედური *Torsdag*.

**პარასკევის** ლათინური სახელწოდებაა *diēs Veneris*, რომლის გერმანიკულ ეკვივალენტებში რომაული მითოლოგიის ქალღმერთი ვენერა ჩანაცვლებულია ფრიგით, გერმანიკული წარმართული პანთეონის ქალღმერთით, რომელიც ოდინის ცოლია: ძვ. ინგლისური *frigedæg*, ძვ. სკანდინავიური *frijadagr*, ძვ. ფრიზული *frigendei*, ჰოლანდიური *vrijdag*, გერმანული *Freitag*.

ლათინური 'სატურნის დღე', შაბათი ასევე გადმოდის გერმანიკულ ენებში: ძვ. ინგლისური *sæterdæg, sæternesdæg*, ჰოლანდიური *Zaterdag*, ძვ. ფრიზული *Saterdi*, საშუალო ქვემო გერმანული *Satersdach*.

კვირის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა *dies solis*, ასევე უცვლელად გადმოდის გერმანიკულ ენებში როგორც 'მზის დღე': ძვ. ინგლისური *sunandæg*, ძველსაქსური *sunun dag*, ძვ. ფრიზული *sunnandei*, ძვ. სკანდინავიური *sunundagr*, ისლანდიური *sunnudagur*, ჰოლანდიური *zondag*, გერმანული *Sonntag*.

\*\*\*

გარდა კვირის დღეების აღმნიშვნელი სიტყვებისა, საერთო გერმანიკული ლექსიკა ბევრი თემატური ჯგუფის სიტყვას მოიცავს. მე-19 საუკუნის ლინგვისტებმა დაადგინეს, რომ საერთო გერმანიკული სიტყვების პროპორცია ინდოევროპულ სიტყვებთან მიმართებით არის 1 : 2, ანუ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები ორჯერ აღემატება გერმანიკულ ლექსიკას.

გერმანიკული სიტყვები, ხშირ შემთხვევაში, იგივე თემატურ ჯგუფებს განეკუთვნება, რასაც ინდოევროპული სიტყვები. მაგალითად, წინა თავში ითქვა, რომ საერთო ინდოევროპულ ლექსიკაში არის მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ბევრი სიტყვა. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ საერთო გერმანიკულ ლექსიკაში არსებობდეს ანალოგიური სიტყვები. მაგ. „გუთნის“ აღმნიშვნელი სიტყვა გერმანიკული სიტყვაა და აღდგება პროტოგერმანიკული ენის ლექსიკაში.

პროტოგერმანიკული *\*plōga-*, ძვ. ინგლისური *plow, ploh* (ინგლისური *plough, plow*), ძვ. საქსური *plog*, ძვ. ფრიზული *ploch*, საშუალო ჰოლანდიური *ploech*, ჰოლანდიური *ploeg*, ძვ. ზემო-გერმანული *pfluog*, გერმანული *Pflug*.

საერთო-ინდოევროპულ დონეზე აღდგება „მარცვლის, ხორბლის“ აღმნიშვნელი სიტყვა, თუმცა „პურის“ აღმნიშვნელი სიტყვა ასევე გერმანიკული წარმოშობისაა.

პროტოგერმანიკული \**khlaibuz*, ძვ. ინგლისური *hlaf* (ინგლისური *loaf* ), ძვ. სკანდინავიური *hleifr*, ძვ. ფრიზული *hlef*, ძვ. ზემო-გერმანული *hleib* (გერმანული *Laib*), გოთური *hlaifs*.

„პურისა“ და „გუთნის“ აღმნიშვნელი გერმანიკული სიტყვები მოგვიანებით ისესხა სლავურმა ენებმა - хлеб (პური), пухт (გუთანნი).

როგორც წინა თავში ვნახეთ, საერთო ინდოევროპულ დონეზე აღდგება არაერთი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამა თუ იმ ცხოველის სახელი გერმანიკული ერთობის პერიოდს განეკუთვნებოდეს. მაგ., გერმანიკული წარმოშობის სიტყვაა „კვერნა“.

პროტოგერმანიკული \**marþraz*, \**marþuz*, ძვ. ინგლისური *mearþ* (ინგლისური *marten*), ძვ. ზემო-გერმანული *mardar* (გერმანული *Marder*); ძვ. ისლანდიური *mörðr* (ისლანდიური *mörður*).

„ჩიტის, ფრენის“ აღმნიშვნელი ინდოევროპული ძირის სიტყვიდან გერმანიკულ ენებში განვითარდა „ფრთის“ აღმნიშვნელი სიტყვა (ინგლისური *feather*, შვედური *fjäder*, ჰოლანდიური *veder*, გერმანული *Feder* ). საკუთრივ „ჩიტის“ აღმნიშვნელი სიტყვა კი საერთო გერმანიკული წარმოშობისაა:

პროტოგერმანიკული \**fuglaz*, ძვ. ინგლისური *fuzel* (ინგლისური *fowl* „შინაური ფრინველი“), ძვ. საქსური *fugal*, ძვ. ფრიზული *fugel*, ძვ. სკანდინავიური *fugl*, გერმანული *Vogel*, გოთური *fugls*.

უნდა ითქვას, რომ ყველა თანამედროვე გერმანიკულ ენაში ეს სიტყვა „ჩიტს“ აღნიშნავს. გამონაკლისია თანამედროვე ინგლისური ენა, სადაც მისი მნიშვნელობა დავიწროვდა როგორც „შინაური ფრინველი“. სავარაუდოდ, ინგლისურში ამ სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება განაპირობა ენაში ახალი სიტყვის გაჩენამ, როგორიცაა **bird**, რომელიც მხოლოდ ინგლისურ ენაში დასტურდება და არა აქვს მონათესავე ფორმები რომელიმე გერმანიკულ ან ინდოევროპულ ენაში.

სხეულის ნაწილების, სახის ნაკვთების აღმნიშვნელი სიტყვების დიდი ნაწილი საერთო ინდოევროპული წარმოშობისაა, თუმცა, სიტყვა „ხელი“ საერთო გერმანიკულ შრეს განეკუთვნება.

პროტოგერმანიკული *\*handuz*, ძვ. ინგლისური *hond, hand*, ძვ. საქსური, ძვ. ფრიზული, ჰოლანდიური, გერმანული *hand*, ძვ. სკანდინავიური *hönd*, გოთური *handus*.

საერთო გერმანიკულ ლექსიკას ასევე განეკუთვნება ბუნებასთან, ზღვასთან, ზღვაოსნობასთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სიტყვები. ამ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება არა მხოლოდ არსებითი სახელები, არამედ ზმნები, ზედსართავი სახელები.

საერთო გერმანიკული წარმოშობის სიტყვებს, უმეტესწილად, მსგავსი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს გერმანიკულ ენებში. თუმცა, ამ ეტიმოლოგიურ შრეშიც გვხვდება სემანტიკური დიფერენციაცია საერთო ძირის მქონე სიტყვების მნიშვნელობებში.

მაგ. „ხორცის“ აღმნიშვნელი ერთ-ერთი სიტყვა გერმანიკულ ენებში აღნიშნავს „ადამიანის სხეულს, ხორცს“, თუმცა ძველ სკანდინავიურ ენაში მისი მნიშვნელობაა „ღორის ხორცი, ბეკონი“:

პროტოგერმანიკული *\*flaiska-/\*fleiski-*, ძვ. ინგლისური *flæsc* (flesh), ძვ. ფრიზული *flesk*, გერმანული *Fleisch*, ძვ. სკანდინავიური *flesk* „ღორის ხორცი, ბეკონი“.

თუ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში გვხვდება, გერმანიკული ლექსიკა მხოლოდ გერმანიკული ენების ლინგვისტური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი. გერმანიკული სიტყვები აღმოცენდა პროტო-გერმანიკულში, მისი დიფერენციაციის შედეგად შეაღწია სხვადასხვა გერმანიკულ ენებში და ამ ენების ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. გერმანიკული წარმოშობის სიტყვები, ანუ გერმანიკული ლექსიკა წარმოადგენს გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტურ ნიშანს ლექსიკურ დონეზე და ამ ენობრივ დონეზე გერმანიკულ ენებს მიჯნავს ინდოევროპული ენების სხვა შტოებისგან.

\*\*\*

მაშასადამე, თანამედროვე ინდოევროპული ენების უძველეს ეტიმოლოგიურ შრეს საერთო ინდოევროპული ლექსიკა შეადგენს. მეორე ეტიმოლოგიური შრე დაკავშირებულია ამ ოჯახის ცალკეულ შტოსთან და მის პროტოენასთან. სლავური ენებისთვის ეს ეტიმოლოგიური შრე არის საერთო სლავური ლექსიკა, კელტური ენებისთვის - საერთო კელტური ლექსიკა, ინდური ენებისთვის - საერთო ინდური ლექსიკა, ირანული ენებისთვის - საერთო ირანული ლექსიკა და ა.შ.

გარდა მემკვიდრეობით მიღებული ლექსიკისა, ყველა ინდოევროპულ ენაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნასესხებ სიტყვებს (borrowings). მაგალითად, ინგლისურ ენაში გვხვდება ნასესხები სიტყვები პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ენიდან, თუმცა ნასესხობის ყველაზე დიდი წილი ფრანგულ და ლათინურ ნასესხობაზე მოდის. ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ (1066 წელი), სამ საუკუნეზე მეტხანს ინგლისში სწორედ ფრანგული იყო სახელმწიფო ენა და ინგლისურმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი მხოლოდ მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბრუნა.

არსებობს ენის ლექსიკის განვითარებისა და გამდიდრების კიდევ ერთი გზა - სიტყვათწარმოება: სუფიქსაცია, პრეფიქსაცია, სიტყვათთხზვა, კონვერსია და სხვა სიტყვათმაწარმოებელი საშუალებები (internal creations). ენაში ახალი სიტყვები იქმნება ენის შიდა რესურსების გამოყენებით, ძირებით, აფიქსებით და ა.შ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ენის შიდა რესურსების დიდი ნაწილი სწორედ ინდოევროპული ან გერმანიკული წარმოშობის სიტყვები და აფიქსებია.

მაგ.: თანამედროვე ინგლისური სიტყვა *woman* ძველ ინგლისურში რთული სიტყვა იყო *wifmann* (სიტყვასიტყვისით 'wife of a man'). ეს სიტყვა შეიქმნა ინგლისურ ენაში და არცერთ სხვა გერმანიკულ ენაში არ დასტურდება. თუმცა ის ორი კომპონენტი, რისგანაც ეს სიტყვა შედგება wif და mann არის საერთო გერმანიკული (wif) და საერთო ინდოევროპული (mann) წარმომავლობის სიტყვები:

პროტოგერმანიკული \**wifa-*, ძვ. ინგლისური *wif*, ძვ. საქსური, ძვ. ფრიზული *wif*, ძვ. სკანდინავიური *vif*, დანიური და შვედური *viv*, ჰოლანდიური *wijf*, ძვ. ზემო-გერმანული *wib*, გერმანული *Weib*).

პროტოინდოევროპული \**man-*, პროტოგერმანიკული \**mann-*.

თანამედროვე ინგლისური სიტყვა *lord* ძველ ინგლისურში იყო რთული სიტყვა - *hlaford*, *hlafweard*. იგი ორი ძირისგან შედგება: *hlaf* + *weard*, სიტყვასიტყვით *hlaf* „პური“, საერთო გერმანიკული სიტყვა და *weard* „მცველი“ - საერთო ინდოევროპული სიტყვა (შეადარეთ აგრეთვე *lady*, რომელიც ძველ ინგლისურში ასევე რთული სიტყვა იყო და ორი კომპონენტისაგან შედგებოდა: *hlæfdige*, სიტყვასიტყვით *hlaf* „პური“ + *dige* „ზელა“).

\*\*\*

## საერთო ქართველური ლექსიკა Inherited Kartvelian Lexicon

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი არის უნივერსალური მეთოდი და გამოიყენება არა მხოლოდ ინდოევროპული, არამედ ენათა სხვა ოჯახების შესწავლისთვისაც. ამ მეთოდის მეშვეობით კარგად არის აღწერილი ქართული და მისი მონათესავე ქართველური ენები. ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერთა მიერ არაერთი სიტყვაა აღდგენილი პროტოქართველური ლექსიკის დონეზე. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის წიგნიდან „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“:

პროტოქართველური \**ღმართ-* „ღმერთი“

ქართული *ღმერთ-*, *ღმერთ-ი*

მეგრული *ღორონთ-*, *ღორონთ-ი*

ლაზური *ღორმოთ-*, *ღორმოთ-ი*

სვანური *ღერმეთ-/ღერბეთ-*



პროტოქართველური \*დათუ- „დათვი“

ქართული - *დათუ-, დათვ-, დათვი*

მეგრული - *თუნთ-, თუნთი*

ლაზური - *თუთ-/მთუთ-, თუთ-ი/მთუთ-ი*

სვანური - *დაშდუ*

პროტოქართველური \*უაც- „ვაცი, მამალი თხა“

ქართული *ვაც-, ვაც-ი*

მეგრული *ოჩ-, ოჩ-ი* „მამალი თხა“

ლაზური *ბოჩ-/ოჩ-, ბოჩ-ი/ოჩ-ი* „მამალი ცხვარი“

სვანური *დუამ-* „ჯიხვი“

ამ მაგალითში ჩანს საერთო ქართველური ძირის სიტყვის სემანტიკური დიფერენციაცია სხვადასხვა ქართველურ ენებში.

პროტოქართველური \*ქუაბ- „გამოქვაბული“

ქართული *ქუაბ-*

მეგრული *ქვიბ-*

სვანური *ქუაბ-*

პროტოქართველური \*დაბ-

ქართული *დაბ-, დაბა* „სოფელი; დასახლებული ადგილი“

მეგრული *დობ-, დობ-ერ-ა/დობ-ირ-ა* „სახნავი მიწა“

სვანური *დაბ-* „ყანა“

ამ მაგალითშიც ჩანს საერთო ქართველური ძირის სიტყვის სემანტიკური დიფერენციაცია სხვადასხვა ქართველურ ენებში.

პროტოქართველური \*თაფლ-

ქართული *თაფლ-, თაფლ-ი*

მეგრული *თოფურ-, თოფურ-ი*

სვანური *თუ/თუ-ი*

პროტოქართველური \*ღობ-

ქართული *ღობ-*, *ღობ-ე*

მეგრული *ღობ-*, *ღობ-ერ-ი*

ლაზური *ღობ-*, *ღობ-ერ-ი*

სვანური *ღობ/ღუებ* „სკა“

ამ მაგალითში ჩანს აღნიშნული სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობა სვანურში. სვანური ენა ბევრად ადრე გამოეყო საერთოქართველურ ენას, ვიდრე მეგრული და ქართული. ამის გამო ქართველურ სიტყვებს, ხშირ შემთხვევაში, უფრო მსგავსი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს მეგრულში, ლაზურსა და ქართულში, ვიდრე მათ მონათესავე სვანურ სიტყვებს.

\*\*\*

**უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:**

1. რით არის საინტერესო კვირის დღეების აღმნიშვნელი სიტყვები თანამედროვე რომანულ ენებში? რა მიმართებაშია ეს სიტყვები ლათინურთან?
2. რა გზით არის შექმნილი კვირის დღეების აღმნიშვნელი სიტყვები გერმანიკულ ენებში?
3. რა ეტიმოლოგიური კომპონენტებისგან შედგება „ორშაბათის“ აღმნიშვნელი სიტყვები გერმანიკულ ენებში?
4. რა ეტიმოლოგიური კომპონენტებისგან შედგება „სამშაბათის“ აღმნიშვნელი სიტყვები გერმანიკულ ენებში?
5. რა ეტიმოლოგიური კომპონენტებისგან შედგება „ოთხშაბათის“, „ხუთშაბათის“, „პარასკევის“, „შაბათისა“ და „კვირის“ აღმნიშვნელი სიტყვები გერმანიკულ ენებში?
6. რა თემატურ ჯგუფებს განეკუთვნება საერთო გერმანიკული ლექსიკა?
7. რით აიხსნება „პურისა“ და „გუთნის“ აღმნიშვნელი სიტყვების მსგავსება გერმანიკულსა და სლავურ (მაგ. რუსულ) ენებში?
8. ნიშნავს თუ არა „ჩიტის“ აღმნიშვნელი სიტყვების სხვადასხვაობა ინგლისურ (**bird**) და დანარჩენ გერმანიკულ ენებში (მაგ. გოთ. **fugls**, გერმ. **Vogel**, შვედ. **fågel** და ა.შ.)

იმას, რომ თანამედროვე ინგლისურში ამ ძირის ეტიმოლოგიური შესატყვისობა არ არსებობს?

9. ხომ არ ნიშნავს ინგლისური სიტყვის **bird** „ჩიტი“ და შვედურში „ჩიტის“ აღმნიშვნელი სიტყვის **fågel** განსხვავება იმას, რომ ინგლისური და შვედური ახლომონათესავე ენები არ არის?

10. რომელი თანამედროვე ინგლისური სიტყვა შეესაბამება ეტიმოლოგიურად პროტო-გერმანიკ. \***fuglaz**, გოთ. **fugls**, ჰოლ. **vogel**, გერმ. **Vogel**, შვედ. **fågel** და ა.შ. სიტყვებს?

11. რა ენობრივმა მოვლენამ გამოიწვია ამ ინგლისური სიტყვისა (**bird**) და გერმანიკულ ენებში მის ეტიმოლოგიურ შესატყვისობათა (**fugls**, **Vogel**, **fugel**, **fugl**, **fågl** და სხვ.) სემანტიკაში განსხვავების გაჩენა?

12. რომელი ენებიდან ნასეხები სიტყვები გვხვდება თანამედროვე ინგლისურ ენაში? რომელი ენიდან აქვს ნასესხები ყველაზე მეტი სიტყვა ინგლისურს?

13. რამდენად უნივერსალურია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და შეიძლება თუ არა მისი გამოყენება სხვა, არაინდოევროპული ენების შესასწავლადაც?

14. ქართველური (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური) ენების ნათესაობის დამადასტურებელი რომელი სიტყვების/ძირების დასახელება შეგიძლიათ?